# კრიმინალისტიკის ლაბორატორიის საქმიანობის ინსტრუქცია

ქ. ქუთაისი 2016 წელი

## თავი I
## ზოგადი დებულებები

***მუხლი 1. ინსტრუქციით რეგულირებული ურთიერთობები***

კრიმინალისტიკის ლაბორატორია წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის შემადგენელ ერთეულს.

***მუხლი 2. კრიმინალისტიკის ლაბორატორიის მიზნები და ამოცანები***

კრიმინალისტიკის ლაბორატორიის მთავარი მიზანია „სისხლის სამართლის" მიმართულების სტუდენტებისათვის თანამეედროვე დანადგარებითა და მეთოდებით პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, შედეგად მაღალკვალიფიციური იურისტების მომზადება. ასევე იგი სხვა სპეციალობის დაინტერესებულ სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ ამ კუთხით შესაბამისი პრაქტიკული ცოდნა.

***მუხლი 3. კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ფინანსური უზრუნველყოფა***

იგი შეიქმნა პრეზიდენტის ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტისა და უნივერსიტეტის თანადაფინანსების შედეგად ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის ბაზაზე.

კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პრეზიდენტის ფონდთან თანადაფინანსებით.

## თავი II
## ინსტრუქციაში გამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა განსაზღვრებანი

***მუხლი 4. კრიმინალისტიკის ლაბორატორია***

კრიმინალისტიკის ლაბორატორია არის უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად.

***მუხლი 5. კრიმინალისტიკის ლაბორატორიის კოორდინირება:***

კრიმინალისტიკის ლაბორატორიის კოორდინირებასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სამართლის დეპარტამენტი.

***მუხლი 6. კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ლაბორანტი***

კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ლაბორანტი არის აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სფეროს სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიურ განათლებას, წინაწარ განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში, ასევე, ლაბორატორიის ყოველდღიურ მუშაობას და პასუხისმგებელია ლაბორატორიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის გამოყენებასა და მოვლაზე.

## თავი III
## კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ძირითადი საქმიანობა

### მუხლი 7. კრიმინალისტიკის ლაბორატორიის სამუშაო პერიოდი

კრიმინალისტიკის ლაბორატორიის სამუშაო პერიოდი ემთხევა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესს.

### *მუხლი 8. ლაბორატორიის სწავლების კურსი*

თეორიულ სწავლებასთან ერთად, ლაბორატორიის სწავლების პროცესი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობას, დაფუძნებულს თანამედროვე დანადგარების გამოყენებასა და სწავლა/სწავლების ეფექტურ მეთოდებზე.

**დამტკიცებულია:**
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2016 წ. 26 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი# 22

ფაკულტეტის დეკანი: აკაკი ბაკურაძე